# საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის

## ბრძანება №165/04
## 2020 წლის 18 სექტემბერი

## ქ. თბილისი

**„საბროკერო კომპანიის ლიცენზირებისა და რეგულირების წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2018 წლის 5 ივლისის №145/04 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ**

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტისა და „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-15 მუხლის პირველი პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, **ვბრძანებ:**

**მუხლი 1**

„საბროკერო კომპანიის ლიცენზირებისა და რეგულირების წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2018 წლის 5 ივლისის №145/04 ბრძანებით დამტკიცებული წესის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ბ)დეტალური ინფორმაცია ყველა განხორციელებული ტრანზაქციის შესახებ როგორც შიდა ჩანაწერებში, ისე პირველადი დოკუმენტების სახით. ტრანზაქციის შესახებ საბროკერო კომპანიის შიდა ჩანაწერები უნდა მოიცავდეს სულ მცირე შემდეგ ინფორმაციას:

ბ.ა) ტრანზაქციის (გარიგების) სახეს, ფორმასა და საფუძველს;

ბ.ბ) ტრანზაქციის (გარიგების) საგანს (ემიტენტის სრული დასახელება, ფასიანი ქაღალდების კლასი, რაოდენობა);

ბ.გ) ტრანზაქციის (გარიგების) შესრულების თარიღსა და დროს;

ბ.დ) ტრანზაქციის (გარიგების) ვალუტას, ფასსა და მოცულობას;

ბ.ე) შესრულებული გარიგების მარეგისტრირებელი ორგანოს დასახელებას (ან სახელი და გვარი), მისამართს (იურიდიული, ფაქტობრივი), რეგისტრაციის თარიღსა და ნომერს (გარიგების რეგისტრაციის შემთხვევაში);

ბ.ვ) ტრანზაქციაში მონაწილე კლიენტ(ებ)ის შესახებ ინფორმაციას, მათ შორის, ტრანზაქციის მონაწილე ყველა პირის საიდენტიფიკაციო ინფორმაციას „უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.“.

**მუხლი 2**

ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

**ეროვნული ბანკის პრეზიდენტი** **კობა გვენეტაძე**